ჩემპიონატი

თბილისის “დინამოს” დამარცხება

24 მაისს კიევში ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ **კიევის და თბილისის “დინამოს”** საჩვენებელი გუნდები.

კიევის “დინამოს” თავდამსხმელებმა, რომლებიც იშვიათი ოსტატობით იბრძოდნენ, სამჯერ გაარღვიეს თბილისელთა კარი. თბილისის დინამოელებმა მშრალ ანგარიშსაც კი ვერ დააღწიეს თავი. წააგეს მატჩი, ანგარიშით – 0:3.

კიევის “დინამომ”, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ბუტუსოვი, აიღო გასული წლის ბრწყინვალე რევანში.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 25 მაისი, 1941 წ.